

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №84
2019 წლის 3 მაისი

ქ. თბილისი

**„საავიაციო სამუშაოების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს – საჯარო სამართლის
იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის 2003 წლის
16 დეკემბრის №8 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
ვბრძანებ:

მუხლი 1

„საავიაციო სამუშაოების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის 2003 წლის 16 დეკემბრის №8 ბრძანებით დამტკიცებულ „საავიაციო სამუშაოების სახელმძღვანელოში“ (სსმ III, 2003 წ., №147, მუხ.1204) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17 პუნქტი:

„17. ჰელისკი – შვეულმფრენით პირთა გადასხმა თოვლში თხილამურებით, თოვლის დაფით (სნოუბორდით) და ნებისმიერი სხვა საშუალებით სრიალის მიზნით“.

2. „საავიაციო სამუშაოების სახელმძღვანელოს“ მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ჰელისკი“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი

ლევან კარანაძე

